საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე დროის კონკრეტულ პერიოდში (როგორც წესი, ერთი წლის/კვარტლის განმავლობაში) წარმოებული საბოლოო პროდუქტის (საქონლისა და მომსახურების) საბაზრო ფასებით გამოხატულ მთლიან ღირებულებას. მშპ ასევე იანგარიშება როგორც ეკონ. ყველა დარგის მთლიანი დამატებული ღირებულების ჯამს დამატებული წმინდა გადასახადები (პროდუქტებზე გადასახადებს გამოკლებული სუბსიდიები პროდუქტებზე). მშპ გამოიყენება როგორც კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის დინამიკის, ისე ქვეყნების ეკონომიკების შედარებისათვის.

მშპ-ის გაანგარიშების პირველი მცდელობა ჰქონდა ინგლისელ ეკონომისტ უილიამ პეტს XVII ს. ბოლოს, თუმცა მისი გაანგარიშების თანამედროვე კონცეფცია შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა 1934 ამერ. ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა სამუელ კუზნეცმა. მშპ შეიძლება გამოისახოს როგორც ეროვნ. ვალუტაში, ისე საცნობაროდ, საბირჟო კურსის მიხედვით – უცხ. ვალუტაში, ასევე მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით საერთაშ. შედარებების განსახორციელებლად. ამ ტერმინმა და მისი შესაბამისი გაანგარიშებების დაწყებამ გზა გაუხსნა ტერმინ მაკროეკონომიკის დამკვიდრებას, რ-საც გასული საუკუნის 30-იან წლებში კეინსურმა თეორიამ ჩაუყარა საფუძველი. მშპ არის გაეროს ეროვნ. ანგარიშთა სისტემის შესაბამისობის ძირითადი ინდიკატორი.

ქართვ. ეკონომისტები (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე და სხვ.) თვლიან, რომ ინგლისურენოვან G Gross Domestic Product-s (GDP) ქართულად "მთლიან შიდა პროდუქტზე" მეტად შეესატყვისება "მთლიანი სამამულო პროდუქტი".

განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ მშპ-ს. ნომინალური მშპ ქვეყნის (რეგიონის) საბოლოო პროდუქტებისა და მომსახურების ღირებულებაა, გამოსახული მიმდინარე საბაზრო ფასებში. ამის გამო იგი დამოკიდებულია ეკონომიკაში ფასების ინდექსსა და შემოსავლებზე. ნომინალური მშპ იზრდება ინფლაციისას პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების მატების გამო და კლებულობს დეფლაციის დროს – ფასების შემცირებისას. ნომინალური მშპ-ის შეფასება ხდება ეროვნ. ვალუტაში ან ქვეყნებს შორის შედარებისათვის – აშშ დოლარებში სავალუტო ბაზრის გაცვლითი კურსის შესაბამისად. რეალური მშპ არის საბოლოო დანიშნულების საქონლისა და მომსახურების ღირებულება, გაანგარიშებული ერთი კონკრ. წლის ფასებით. იგი გაიანგარიშება მშპ-ის დეფლატორის (სხვაობა მიმდინარე და საბაზისო ფასებს შორის) გამოყენებით. მაგ., თუ საბაზისო პერიოდთან შედარებით ფასები გაიზარდა 5%-ით, დეფლატორი იქნება 1,05. დეფლატორის მეშვეობით მყარდება პროპორცია ნომინალურ და რეალურ მშპ-ებს შორის:

$GDP_{real} = GDP_{nominal} /Deflator,$

$Deflator = \Sigma(Q^t P^t)/ \Sigma(Q^t P^0) = GDP_{nominal} GDP_{real},$

სადაც Qტ არის მიმდინარე წლის გამოშვება; Pტ – მიმდინარე წლის ფასი; P0 – საბაზისო წლის ფასი.

მშპ-ისგან განსხვავებით, მთლიანი ეროვნ. პროდუქტი ასახავს ქვეყნის რეზიდენტების (მიუხედავად მათი გეოგრ. ადგილმდებარეობისა) მიერ შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების ღირებულებების ჯამს.

ქვეყნის ეკონ. განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – მშპ-ის შეფარდება ქვეყნის მოსახლ. რიცხოვნობასთან. იგი გამოიყენება მოსახლ. ცხოვრების დონის დასახასიათებლად და სხვადასხვა ქვეყნის კეთილდღეობის დონეთა შესადარებლად. აღნიშნული მაჩვენებლით ქვეყნების ობიექტური შედარებისათვის გამოიყენება მშპ მოსახლ. ერთ სულზე, გაანგარიშებული მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით.

მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი მეთოდით: წარმოების, გამოყენების (დანახარჯების) და შემოსავლების (განაწილების) მიხედვით. წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ მიიღება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტ-ზე შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებას დამატებული გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) და დაკლებული

სუბსიდიები პროდუქციაზე. დამატებული ღირებულება წარმოადგენს სხვაობას საქონლის გამოშვებას, მომსახურებასა და შუალედურ მოხმარებას შორის. მშპ გამოყენების (დანახარჯების) მეთოდით არის საბოლოო მოხმარებისათვის ეკონ. ყველა ინსტიტუციური სექტორის მიერ გაწეული ხარჯების, მთლიანი დაგროვებისა (ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, სასაქონლო მარაგებში, საცხოვრისში, აგრეთვე ძვირფასი ლითონებისა და ბუნებრივი აქტივების ღირებულების ცვლილებების) და წმინდა ექსპორტის (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) ჯამი. მშპ-ის გაანგარიშება შემოსავლების (განაწილების) მეთოდით ეფუძნება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რ-ებიც უშუალოდ მონაწილეობენ ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში. სამივე მეთოდით გაანგარიშებისას მშპ-ის ერთნაირი მნიშვნელობა მიიღება.

მიუხედავად გამოყენების მრავალწლიანი პრაქტიკისა და საერთაშ. შედარებებში მნიშვნელოვანი როლისა, მშპ მაინც არ წარმოადგენს იდეალურ მაჩვენებელს. იგი საკმაოდ კარგად ახასიათებს წარმოების მოცულობას, შემოსავლებსა და ხარჯებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესამუშავებლად, მაგრამ იგი აბსოლუტურად ვერ ასახავს კეთილდღეობის დონეს, ვინაიდან ვერ ახასიათებს ცხოვრების ხარისხს. ბოლო წლებში (განსაკუთრებით 2008–09 მსოფლიო ფინანს. კრიზისის შემდეგ) გაიზარდა სკეპტიკური დამოკიდებულება მშპ-ის მიმართ და დაისვა საკითხი მისი, ალტერნატიული და უფრო ინტეგრალური მაჩვენებლის შესამუშავებლად, რ-შიც ასახული იქნებოდა ფინანს., ბუნებრივი, ადამიანური და სოც. კომპონენტებიც. 2008 საფრანგეთში პრეზიდენტ ნ. სარკოზის ინიციატივით შეიქმნა საერთაშ. კომისია ნობელის პრემიის ლაურეატ ჯ. სტიგლიცის ხელმძღვანელობით ეკონ. საქმიანობისა და სოც. პროგრესის მშპ-ის ალტერნატიული მაჩვენებლის შესამუშავებლად. ბოლო წლებში პოპულარული ხდება ე. წ. „მწვანე მშპ-ის“ ინდექსი, რ-იც ითვალისწინებს ეკოლ. ფაქტორებს, გარემოსათვის მიყენებული ზარალის მასშტაბებს.

კრიტიკის მიუხედავად, მშპ კვლავ რჩება ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად, რ-ის შეფასების ნაკლოვანებების დაძლევა ხორციელდება მისი სხვადასხვა სახეობის კონკრ. ამოცანების გადაწყვეტილებით. მიხედვით, რ-თაგან თითოეული ემსახურება ამა თუ იმ კონკრ. ამოცანების გადაწყვეტას. მსოფლიოს მშპ-ის უდიდესი 5 სახელმწიფო 2023 წლის მიხედვით (აშშ დოლარში, მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, სსფ-ის შეფასებით) არის ჩინეთი (ტაივანის, ჰონგკონგისა და მაკაოს გარეშე) – 31,66 ტრლნ. (მსოფლიო წარმოების 19,32%); აშშ – 25,94 ტრლნ. (15,7%); ინდოეთი – 12,59 ტრლნ. (7,6%); იაპონია – 6,20 ტრლნ. (3,8%); გერმანია – 5,41 ტრლნ. (3,3%).

საქართველოში მშპ-ის გაანგარიშების მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 1992-იდან. 1995 და მომდევნო წლების მშპ-ის მონაცემები აღიარებულია საერთაშ. ეკონ. და ფინანს. ინ-ტების (საერთაშ. სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) მიერ. 2018-მდე საქართვ. მშპ

იანგარიშებოდა ეროვნ. ანგარიშთა სისტემის მესამე, 1993 რედაქციის საფუძველზე და პასუხობდა იმ რეალიებს, გამოწვევებს, რ-ებიც განვითარების იმ ეტაპზე წარმოიქმნებოდა ეკონომიკაში. 2018-იდან მშპ-ის გაანგარიშება ხდება ეროვნ. ანგარიშთა რიგით მეოთხე მეთოდოლოგიის საფუძველზე (შNA 2008), რ-იც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართვ. ეროვნ. კლასიფიკატორს (სეკ 006–2016), იგი შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევრ. სტანდარტის NAჩE ღევ. 2-ის ბაზაზე.

ცხრილი N1

საქართველოს ნომინალური და რეალური მშპ

2016–2023 წლებში

(მლნ. ლარი; საბაზრო ფასებში)

	2016	2017	2018	2019	2020	2021
ნომინალური მშპ	36553,3	41339,8	45374,4	49726,3	49788,5	60724,1
რეალური მშპ 2019 წლის ფასებში	42306,9	44490,4	47187,5	49726,3	46597,9	5155,8

ბოლო წლებში (2021_24) საქართვ. ეკონომიკის რეალური საშ. წლ. ზრდა შეადგენს 9,7%-ს. ამასთან, მზარდი სხვაობა ნომინალურ და რეალურ მშპ-ს შორის (2023 წ. – 23,7%-ით) განპირობებულია მშპ-ის დეფლატორის ცვლილებით (დეფლატორის საშ. წლ. მნიშვნელობა 2016_23 წწ. = 1,062).

საქართვ. მშპ მოსახლ. ერთ სულზე გაიანგარიშება ეროვნ. ვალუტაში და ვალუტის ოფიც. კურსით აშშ დოლარში. ამასთანავე, საერთაშ. შედარებების განსახორციელებლად გამოყენებულია მშპ-ის მაჩვენებელი მოსახლ. ერთ სულზე ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით.

ცხრილი N2

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ საქართველოში

2015_2023 წლებში

	2016	2017	2018	2019	2020	2021
ლარებში	9806,4	11089,0	12176,0	13366,7	13374,3	165373,8

აშშ დოლა-რებში, ოფი-ციალური კურსით	4143,5	4420,3	4804,0	4741,4	4300,8	5083,6
აშშ დოლა-რებში, მყიდ-ველობითი უნარიანობის პარიტეტით	12854,7	13595,6	14582,0	15607,9	14849,3	16590,1

2023 წ. მონაცემებით საქართვ. მშპ-ის წილი მსოფლიო ეკონომიკაში შეადგენს 0,044 %, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება 1995 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (1995 წ. – 0,023%). მშპ-ის სიდიდით მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის საქართვ. უჭირავს 107-ე ადგილი ვალუტის ოფიც. კურსით და 100-ე – ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის მიხედვით. მოსახლ. ერთ სულზე წარმოებული მშპ-ით საქართველო იკავებს, 84-ე ადგილს – ვალუტის ოფიც. კურსით და 70-ე ადგილს –ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით.

ლიტ.: ლ ო კ ი ე ფ., ბლეიდსი დ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ, გამოც. მე-2, თბ., 2015; პ ა პ ა ვ ა ვ., ს ი ლ ა გ ა ძ ე ა., ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – „Gross Domestic Product -ის“ ქართული სახელწოდების შესახებ, „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019, ტ. 11, №1; მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2022; S t i g l i t z J., F i t o u s s i J.-P. and D u r a n d M**.,** Beyond GDP. Measuring What Counts for Economic and Social Performance, Paris**,** 2018. 2018.